ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

გატონ კახა კალაძეს

ასლი-- ს.ს.ი.პ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის უფროსს

გატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

გატონო კახი,

როგორც მოგეხსენებათ, ე.ს.ა. ,,ვაჟა-ფშაველა 2007''-ის დირექტორი, სამშენებლო სამართალდამრღვევი დავით მახარაშვილი, მერიაში გაყალბებული დოკუმენტების წამოდგენის საფუძველზე გამოცემული ბრძანებებით, უკანონოდ და პროექტის მრავლობითი დარღვევით კვლავ აწარმოებს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას, ქ.თბილისში ვაჟა-ფშაველას 76-ს მიმდებარედ, მიწის საკადასტრო კოდ N 01.14.03.039.055-ზე მეტრო ,,ვაჟა-ფშაველა''-ს მარჯვენა ამოსასვლელთან. გარდა იმისა, მშენებლობის უკანონობა დასტურდება იმით, რომ ხსენებულმა სამშენებლო სამართალდამრღვევმა დავით მახარაშვილმა, 2020 წლის 13 მარტს N AR1738761 განცხადებით კვლავ მიმართა თქვენდამი რწმუნებულ სამსახურს, მორიგი უკანონობის დაკანონების მიზნით, კერძოდ; უკვე აშენებული შენობის დასაკანონებლად! აღნიშნულიდან გამომდინარე იმედს ვიტოვებთ, რომ ამჯერადაც თქვენი პირადი კონტროლით აღიკვეთება მრავლობითი სახის უკანონობები, მიღებული იქნება სამართლიანი და კანონშესაბამისი გადასწყვეტილებები, რათა არ შეიბღალოს და არ შეილახოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების ღირსება და თავისუფლება შემდეგი გარემოებების გამო, კერძოდ:

1. *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 1 აპრილს გაცემული N 4439197 ბრძანების პუნქტი 3-ით განსაზღვრული ვადა ამოიწურა, 2019 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო უკანონო მშენებლობა სრულად არ არის დამთავრებული, ამასთანავე დარღვეულია სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი და მათზე არ არის დაკისრებული შესაბამისი ჯარიმები;*

2. *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 8 ივლისის № 4577978 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით სამშენებლო სამართალდამრღვევს დაეკისრა შემდეგი ,, არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: დამატებით წარმოსადგენია კონკრეტულად დასაკორექტირებელი არეალების ამსახველი ფოტომასალა. გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ კორექტირებით ჩასატარებელი სამუშაოები ნაწილობრივ ან სრულად უკვე შესრულებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის*

24 მარტის №57-ე დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ“;

3. *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 12 ივლისის №* 4587526 გადაწყვეტილებაით *სამშენებლო სამართალდამრღვევს დაეკისრა შემდეგი* ,,დამატებით წარმოსადგენია კონკრეტულად დასაკორექტირებელი არეალების - დასაკორექტირებელი კარის ღიობების ამსახველი ფოტომასალა. ამ ეტაპზე წარმოდგენილი ფოტოსურატებით ვერ ხერხდება ზემოაღნიშნულის აღქმა. გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ კორექტირებით ჩასატარებელი სამუშაოები ნაწილობრივ ან სრულად უკვე შესრულებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57- ე დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ“;

4. *სამშენებლო სამართალდამრღვევის საქმეზე, არ არის შესრულებული, (არ წარმოდგენილა ჯარიმების გადახდის ქვითრების ასლები) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 9 ოქტომბრის N 000820 დადგენილებით დაკისრებული ჯარიმა 10 000 (ათი ათასი ლარი) ლარისა და მისგან გამომდინარე სამმაგი ოდენობის საურავების გადახდა;*

5. *მშენებლობა არ არის მოყვანილი კანონით განსაზღვრულ არქიტექტორულ პროექტთან შესაბამისობაში ანუ არ არის დემონტირებული ფანჯრის ღიობები საფეხმავლო კიბის უჯრედის ,,დასადი 1-7”-ის მხარეს;*

6. *ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო სამართალდამრღვევ დავით მახარაშვილზე დადგენილებით საჯარიმო თანხების დარიცხვისას გთხოვთ, იხელმძღვანელოთ 2018 წლის 20 ივლისის N 3213-რს საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს, თავი XV, მუხლი 133, პუნქტი 1-თ და მუხლი 132, პუნქტი 1, ა.გ.) ქვეპუნქტებით და გვაცნობოთ შედეგები.*

p.s. როგორც გაუწყებდით ხსენებულ ობიექტებზე, გამუდმებით მიმდინარეობს სარევიზიო საკონტროლო აზომვითი სამუშაოები, დოკუმენტაციის სისტემატიური ანალიზი, ექსპერტული კვლევა და უმნიშვნელო სამართალდარღვევების ფიქსაციაც კი, უკვე მომზადებულია ახლად გამოვლენილი უმნიშვნელოვანესი ტიპის დარღვევები და შედეგები დამატებით გეცნობებათ პერმანენტულად დადგენილი წესით.

პატივისცემით,

უფლებადამცველი  *ზურაბ გეიტრიშვილი*

,, 17 '' მარტი 2020 წელი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 78ბ ბინა #14 ს/ტ. 577 575704